



თიბისი კაპიტალი

# კაპიტალის ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

თიბისი კაპიტალის საბროკერო

09/09/2024

რატი კალანდარიშვილი  
უფროსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

რატი წიკლაური  
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

ნიკოლოზ ჩიტაძე  
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა


ალექსანდრე გოცაძე  
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

ელენე ბეჟანიძე  
უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

# მოკლე შეჯამება

## კვირის თემა


განვითარებადი ბაზრების ვალის გაყიდვები კვირაში, \$მლრდ



## საინვესტიციო თემები

- აპრილის ბოლოდან სახაზინო ობლიგაციებმა 6%-ზე მეტის სარგებელი აჩვენეს, რადგან ინვესტორები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის შესუსტება ფედერალური რეზერვისგან განაკვეთის შემცირებას გამოიწვევს.
- რკინის მადნის ფასმა, პირველად 2022 წლის შემდეგ, ტონაზე \$90 დოლარამდე დაიკლო.
- Morgan Stanley-მ კვლავ შეამცირა ბრენტის ტიპის ნედლი ნავთობის ფასი.
- იაპონურმა აქციებმა შეიმცირა ადრინდელი დანაკარგები, როცა იენი კვლავ გაიფადა.

## S&P 500-ის უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე (წლდ)




## სექტორების ერთკვირიანი უკუგება

სექტორი	% ცვლილება
ფინანსები	▲ 2.95%
ინდუსტრია	▲ 1.69%
მატერიალები	▲ 1.67%
კომუნალური	▲ 1.15%
ჯანდაცვა	▲ 1.13%
ენერჯეტიკა	▲ 0.98%
აციკლური საქონელი	▲ 0.82%
უძრავი ქონება	▲ 0.42%
კომუნიკაციები	▼ -0.21%
ციკლური საქონელი	▼ -0.40%
საინფორმაციო ტექნოლოგიები	▼ -1.62%

## საქონლის ბაზარი

101.73	▲ 1.04%
აშშ დოლარის ინდექსი	ცვლილება, კ/კ
73.55	▼ -1.71%
ნედლი ნავთობი	ცვლილება, კ/კ
59.12K	▼ -7.70%
ბიტკოინი	ცვლილება, კ/კ
2.50K	▼ -0.34%
ოქრო	ცვლილება, კ/კ


## მაკრო მიმოხილვა




# მაკრო მიმოხილვა

## წამყვანი ეკონომიკების მაკროეკონომიკური პორტრეტი

აშშ-ის უმუშევრობის დონე



ევროზონის მშპ-ის ზრდა



აგვისტოში, აშშ-ის ეკონომიკამ უფრო ნაკლები სამუშაო ადგილი შექმნა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, რაც მიუთითებს დასაქმების ბაზრის შესუსტებაზე და ფედერალურ რეზერვს აძლევს დამატებით სტიმულს, შეამციროს საპროცენტო განაკვეთები მიმდინარე თვის ბოლოს. ამას გარდა, უმუშევრობის დონე 4.2%-მდე შემცირდა ივლისის 4.3%-დან. არასამეწარმეო სექტორის დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 142,000-ით, რაც მოსალოდნელ 161,000-ზე დაბალია. პარალელურად, საშუალო საათობრივი ანაზღაურება თვიურ ჭრილში 0.4%-ით გაიზარდა, წლიურად კი 3.8%-ით, რაც მოსალოდნელ 0.3%-იან და 3.7%-იან ზრდის დონეებს აჭარბებს.

**რატომაა მნიშვნელოვანი:** ანგარიში გამოქვეყნდა იმ დროს, როცა ბაზრები მოუთმენლად ელიან ფედერალური რეზერვის მომდევნო ნაბიჯს, ივლისის 2023 წლის განაკვეთის ზრდის შეჩერების შემდეგ, რაც მიზნად ისახავდა ინფლაციის შეკავებას. ბოლო ეკონომიკურმა მონაცემებმა აჩვენა სტაბილური ზრდა, მაგრამ დასუსტებული დასაქმების ბაზარი. გამოქვეყნებამდე, ბაზრები 100%-ით აფასებდნენ განაკვეთის შემცირების ალბათობას 17-18 სექტემბრის შეხვედრაზე, ერთადერთი გაურკვევლობა კი შემცირების მასშტაბი იყო. დასაქმების მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, ფიუჩერსების ბაზრები მიდრეკილნი არიან 50-პუნქტიანი განაკვეთის შემცირებისკენ, რაც ასახავს გაზრდილ მოლოდინს ფედერალური რეზერვის პასუხისმადმი ნელი დასაქმების ზრდაზე.

ევროზონის ეკონომიკური ზრდის ტემპი მეორე კვარტლისთვის ქვევით კორექტირდა, რადგან მთავრობის ხარჯებისა და წმინდა ვაჭრობის გავლენა ნაწილობრივ ნეიტრალიზებული იქნა ინვესტიციების შემცირებით. პარასკევს გამოქვეყნებული „ევროსტატის“ მონაცემების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მეორე კვარტალში, პირველთან შედარებით, 0.2%-ით გაიზარდა, რაც თავდაპირველად ნავარაუდევ 0.3%-ზე ნაკლებია. მეორე კვარტლის წლიური მშპ-ს ზრდა უცვლელი დარჩა 0.6%-ზე, პირველი კვარტლის 0.5%-იანი ზრდის შემდეგ.

**რატომაა მნიშვნელოვანი:** ევროზონის ეკონომიკის პერსპექტივა კვლავ გაურკვეველია, რადგან ბოლო მონაცემები ოპტიმიზმის დიდ საფუძველს არ იძლევა. უახლესი მშპ-ის მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ივლისში, ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა უცვლელად შეინარჩუნა ძირითადი საპროცენტო განაკვეთები, ხუთწლიან პერიოდში ივნისში პირველად შემცირების შემდეგ. ბანკისგან ფართოდ არის ნავარაუდევნი განაკვეთის კიდევ ერთხელ შემცირება სექტემბერში, აღნიშნული ეკონომიკური პესიმიზმის გამო.

# სავაჭრო საქონელი და ინდექსები

## აშშ დოლარის ინდექსი

101.73

აშშ დოლარის ინდექსი

▲ 1.04%

ცვლილება, კ/კ



• აშშ დოლარის ინდექსი (DXY), რომელიც დოლარის ღირებულებას ზომავს ექვს ძირითად ვალუტასთან მიმართებაში, პარასკევს გაძლიერდა აგვისტოს შერეული არასამეწარმეო სექტორის დასაქმების მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბერში 50-პუნქტიანი განაკვეთის შემცირების ალბათობა კვლავ მაღალია.


## ოქრო

2.50K

ოქრო

▼ -0.34%

ცვლილება, კ/კ



• ზედიზედ მეორე დღეა, ოქროს ფასზე (XAU/USD) ზეწოლა გრძელდება. ევროპულ სავაჭრო სესიაზე მეტალი \$2,500 დოლარის ფსიქოლოგიურ დონეზე ქვემოთ რჩება. პარასკევს შერეულმა დასაქმების ანგარიშმა შეამცირა ფედერალური რეზერვის მიერ 50-პუნქტიანი შემცირების შანსები, რამაც გამოიწვია აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობის მცირედით აღდგენა.


## ნედლი ნავთობი

73.55

ნედლი ნავთობი

▼ -1.71%

ცვლილება, კ/კ



• ტენასური სინჯის ნედლი ნავთობის (WTI) ფასები აღდგა წინა სესიის დანაკარგების შემდეგ და ორშაბათის აზიურ სესიაზე ბარელზე დაახლოებით \$68.00 დოლარზე ივაჭრება. ნედლი ნავთობის ფასების ზრდას ხელს უწყობს ქარიშხლის შესაძლო საფრთხე, რომელიც აშშ-ის ყურის სანაპიროს უახლოვდება. აქამდე, ნედლი ნავთობის ფასებმა ბოლო 11 თვის ყველაზე დიდი ყოველკვირეული ვარდნა განიცადა.


## ბიტკოინი

59.12K

ბიტკოინი

▼ -7.70%

ცვლილება, კ/კ




• ბიტკოინის (BTC) ფასი პარასკევს დაეცა \$55,000 დოლარზე ქვემოთ, კრიპტოვალუტის ბაზრის ფართო ვარდნის ფონზე, აგვისტოს არასამეწარმეო სექტორის დასაქმების ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ. უმუშევრობის დონე მოლოდინთან შესაბამისობაშია 4.2%-ზე, ახლა ყურადღება გამახვილებულია ფედერალური რეზერვის მოახლოებულ შეხვედრაზე.

# კვირის თემა

## სექტემბრის ცხელი სტარტი

განვითარებადი ბაზრების ვალის გაყიდვები კვირაში, \$მლრდ



განვითარებადი ქვეყნების მსესხებლები სწრაფად აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს, რათა თავიდან აირიდონ ბაზრის პოტენციური მერყეობა, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს მათი დაფინანსების გეგმები, განსაკუთრებით აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების ფონზე. სექტემბრის პირველ ხუთ დღეში ამ ქვეყნების მთავრობებმა და კომპანიებმა \$28 მილიარდი დოლარის ობლიგაციები გამოუშვეს, რაც რეკორდულია სექტემბრის დასაწყისისთვის, გასული წლის ამავე პერიოდის \$12 მილიარდთან შედარებით.

ბევრი ემიტენტი პრევენციულ ნაბიჯებს მიმართავს, რათა თავიდან აირიდოს გლობალური ბაზრების პოტენციური მერყეობა, როგორც იყო 5 აგვისტოს გაყიდვების ტალღა, როდესაც ეკონომიკური ზრდის შემფოთებამ პანიკა გამოიწვია განვითარებად ბაზრებში. JPMorgan-ის ინდექსის მიხედვით, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ზრდა სესხების ხარჯებში განვითარებადი ბაზრებისთვის, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში.

ამჟამად, სესხების ხარჯები შედარებით დაბალია, საშუალო შემოსავლიანობით 6.5%-ზე, რაც ყველაზე დაბალია ბოლო ორი წლის განმავლობაში, და ხელსაყრელი დროა ფინანსების დასაფიქსირებლად. მნიშვნელოვანი მსესხებლები, როგორცაა აბუ დაბის ეროვნული ნავთობის კომპანია, ინდონეზია და ურუგვაი, იყენებენ ამ შესაძლებლობას.

აშშ დოლარი რჩება უპირატეს ვალუტად ობლიგაციების გაყიდვებისთვის, რაც ბოლო გარიგებების 86%-ს მოიცავს განვითარებად ბაზრებში. ეს უპირატესობა ასახავს დოლარის ლიკვიდობასა და სტაბილურობას, განსაკუთრებით გლობალური ეკონომიკის მზარდი გაურკვევლობის ფონზე. დოლარზე დენომინირებული ობლიგაციების გაყიდვები განვითარებადი ბაზრების მსესხებლების მიერ წელს 54%-ით გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი წლიური ზრდაა 2012 წლიდან.

გამომშვებმა კარგად იციან მომავალი რისკები, როგორცაა აშშ-ის არჩევნები და ფედერალური რეზერვის მომდევნო ნაბიჯები, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ბაზრის მერყეობა. აშშ-ის ეკონომიკური ზრდის შესახებ შემფოთებისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პერსპექტივის ფონზე, გლობალური ფინანსური ლანდშაფტი კვლავ არაპროგნოზირებადია.

# საინვესტიციო თემები

## ობლიგაციების ბაზრის აღმასვლის რისკები

თვითური შემოსავალი Bloomberg აშშ-ის  
ობლიგაციების ინდექსი




- აპრილის ბოლოდან სახაზინო ობლიგაციებმა 6%-ზე მეტის სარგებელი აჩვენეს, რადგან ინვესტორები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის შესუსტება ფედერალური რეზერვისგან განაკვეთის შემცირებას გამოიწვევს, რომელიც უკვე ოცი წლის მაქსიმუმზეა. ეს აღმასვლა შარშანდელი ზრდის მსგავსია, რომელმაც შემდეგ უკან დაიხია, როცა ფედერალურმა რეზერვმა განაკვეთების ხანგრძლივი დროით უცვლელად დატოვება გადაწყვიტა. ბოლო დასაქმების ანგარიშმა უმუშევრობის დონე თითქმის სამწლიან მაქსიმუმზე დატოვა და სამუშაო ადგილების ზრდის ტემპის შენელება აღნიშნა, რამაც დროებით რეცესიის შიშები გააჩინა, თუმცა ეს შეშფოთება შემსუბუქდა. ახლა მოვაჭრეები ელიან, რომ ფედერალური რეზერვი წლის ბოლომდე განაკვეთებს ერთი სრული პროცენტული პუნქტით შეამცირებს.

## გლობალური ზრდის შენელების შიში სასაქონლო ბირჟებს ურტყამს

რკინის საბადო აგრძელებს მარშრუტს


— რკინის ფიუჩურსები — საწყისი 02/15/24



- რკინის მადნის ფასმა, პირველად 2022 წლის შემდეგ, ტონაზე \$90 დოლარამდე დაიკლო, რასაც ჩინეთის სუსტი მოთხოვნა და გლობალური ეკონომიკური პესიმიზმი განაპირობებს. ფიუჩურსების ფასი წელს მესამედით შემცირდა, ჩინეთის ფოლადის კრიზისისა და ბაზრის ფართო პრობლემების გამო, რაც ასევე აისახება საბაზისო ლითონებსა და ნედლი ნავთობის ფასებზე.
- ინვესტორების ყურადღება გადავიდა აშშ-ის ინფლაციიდან გლობალური ზრდის შენელების რისკებზე, რაც ჩინეთის შეზღუდულმა ზრდამ კიდევ უფრო გაამძაფრა. Goldman Sachs-მა შეამცირა სპილენძის პროგნოზი ჩინეთის სუსტი მოთხოვნის გამო, ხოლო Citigroup-მა გაგვაფრთხილა, რომ აშშ-ის მოახლოებულმა არჩევნებმა, შესაძლოა, კიდევ უფრო დააზიანოს გლობალური ეკონომიკა და ლითონების ფასები.

## მორიგი შემცირება


ბრენტი ნავთობის ფიუშურსები



- Morgan Stanley-მ კვლავ შეამცირა ბრენტის ტიპის ნედლი ნავთობის ფასი, გაზრდილი მოთხოვნის ვარდნასთან დაკავშირებული შემფოთებისა და მიწოდების შეუზღუდავი რაოდენობის გამო. ანალიტიკოსებმა, მათ შორის მარტინ რეტსმა, მეოთხე კვარტლის მოსალოდნელი ფასი \$75 დოლარამდე შეამცირეს, მაშინ როცა წინა პროგნოზი \$80 დოლარს შეადგენდა, რაც უკვე შემცირებული იყო წინა თვის \$85 დოლარიდან.
- ბოლო დროის ფასის ვარდნა, რაც ჩინეთის სუსტი მოთხოვნითა და აშშ-ის ეკონომიკის შენელების ნიშნებითაა განპირობებული, შედარებას იწვევს მნიშვნელოვანი მოთხოვნის სისუსტის პერიოდებთან. მიუხედავად იმისა, რომ OPEC+-მა წარმოების შემცირების გეგმები გადადო, Morgan Stanley-მ აღნიშნა, რომ დროებითი განაკვეთები "რეცესიის პერიოდის მსგავსი მარაგების" არსებობაზე მიუთითებს, თუმცა ამის დადასტურება ჯერ ადრეა.

## მცირე შვება

TOPIX ინდექსი




- იაპონურმა აქციებმა შეიმცირა ადრინდელი დანაკარგები, როცა იენი კვლავ გაიაფდა, რამაც ექსპორტიორების შემფოთება შეამსუბუქა, თუმცა აშშ-ის ეკონომიკის შიშები ბაზარზე კვლავ მოქმედებს. Nikkei 225-ის ინდექსი 0.5%-ით დაეცა ტოკიოში ვაჭრობის დახურვისას, რაც ადრინდელი 3%-იანი ვარდნის შემდეგ მოხდა, ხოლო უფრო ფართო Topix-ის ინდექსი 0.7%-ით შემცირდა 2.9%-იანი ვარდნის შემდეგ. ვალუტა 0.5%-ით დასუსტდა და დოლარზე 143 იენი შეადგინა, რადგან იაპონიის მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდა მცირედით ჩამორჩა საწყის პროგნოზს, რამაც ნაწილობრივ გაანეიტრალა იენის მკვეთრი ზრდა წინა კვირიდან.
- ტექნოლოგიურმა კომპანიებმა, როგორცაა Sony და Tokyo Electron-ი, ბაზრის დიდ წონაზე იმოქმედეს, მას შემდეგ, რაც აშშ-ის დასაქმების მონაცემებმა ფედერალური რეზერვის განაკვეთის შემცირების შესახებ დისკუსია გამოიწვია.

# სექტორული მიმოხილვა

## საინფორმაციო ტექნოლოგიები

16.11 Market Cap (Trillio...  
-1.62% Weekly Change  
33.60 P/E  
12.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● საინფორმაციო ტექნოლოგიები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
INTC	140.39bn	22.04	7.30%	17.08	8.89
SAP	242.27bn	219.71	0.26%	28.74	19.15
AAPL	3,439.59bn	229.00	0.95%	30.70	23.53
NVDA	2,901.08bn	119.37	-7.73%	31.23	25.85
MSFT	3,248.74bn	417.14	0.08%	32.80	22.19


• Broadcom-მა (AVGO), ჩიპების მწარმოებელმა და ინფრასტრუქტურული პროგრამული უზრუნველყოფის პროვაიდერმა, ოდნავ გადააჭარბა უოლ სტრიტის მოლოდინებს თავის მესამე ფისკალური კვარტლის შედეგებში, თუმცა მისი შემოსავლის პროგნოზი მომდევნო პერიოდისთვის ოდნავ ჩამორჩა კონსენსუსს. 2024 წლის მეორე კვარტალში, ჩიპებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიამ წლიური შემოსავალი 47.3%-ით გაზარდა და მიაღწია \$13.07 მილიარდს. Broadcom-ი მომდევნო კვარტალში დაახლოებით \$14 მილიარდის შემოსავალს ელოდება, რაც შეესაბამება ანალიტიკოსების პროგნოზებს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
FTEC	10.81bn	170.47	-4.65%	21.90%	0.12%
QQQ	287.33bn	476.27	-3.96%	18.00%	0.12%
VGT	74.83bn	573.97	-4.64%	21.50%	0.12%
XLK	68.70bn	220.33	-5.53%	17.80%	0.12%
XSD	1.55bn	240.21	-6.45%	14.10%	0.12%

## ჯანდაცვა

8.07 Market Cap (Trillio...  
1.13% Weekly Change  
30.70 P/E  
22.60 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ჯანდაცვა

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
FMS	11.55bn	19.39	-0.31%	10.79	6.17
JNJ	372.29bn	165.86	1.05%	14.42	11.57

• Genetic Leap-მა გამოაცხადა \$409 მილიონი აშშ დოლარის კვლევითი თანამშრომლობის შესახებ Eli Lilly-სთან (LLY) გენზე დაფუძნებული თერაპიების შესაქმნელად მისი RNA-მიზნობრივი AI პლატფორმის გამოყენებით. პარტნიორობა მიზნად ისახავს ოლიგონუკლეოტიდური პრეპარატების შექმნას, რომლებიც Lilly-ს მიერ შერჩეულ სამიზნეებს მიემართება, წარმატებული საპილოტე პროგრამის შემდეგ. Genetic Leap-ი მიიღებს წინასწარ და ეტაპობრივ გადახდებს, პლუს საფეხურებრივ როიალტის. კომპანიის გენერალური დირექტორი ბერტრან ადანვე გამოხატავს კმაყოფილებას თანამშრომლობის შესახებ.


ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLV	40.16bn	157.20	-0.27%	6.50%	0.12%
VHT	17.93bn	288.10	-0.45%	6.40%	0.12%
IBB	7.65bn	148.17	-0.70%	4.30%	0.12%
XBI	7.59bn	101.26	-1.47%	8.10%	0.12%
ARKG	1.36bn	26.39	0.16%	-22.40%	0.12%



## ციკლური საქონელი

9.17 Market Cap (Trillio...  
 -0.40% Weekly Change  
 22.30 P/E  
 14.40 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ციკლური საქონელი

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TSLA	762.86bn	214.11	-2.82%	72.05	37.35
TM	311.40bn	189.80	2.54%	9.18	5.43
ABNB	95.31bn	117.31	0.39%	27.86	18.54
LULU	35.03bn	259.47	-3.38%	17.68	10.91
LI	20.84bn	19.46	-8.29%	12.73	4.71


- Amazon-მა (AMZN) \$20 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების მედია ანგარიში გადასცა Omnicom Media Group-ს და WPP-ს, რითაც დასრულდა IPG Mediabrands-ის ხანგრძლივი მართვა 2013 წლიდან. გადაწყვეტილება მიღებულია ექვსთვიანი სატენდერო პროცესის შემდეგ და 2025 წელს შევა ძალაში. WPP იმუშავებს Amazon-ის APAC და EMEA მედიაზე, ხოლო Omnicom Media Group მართავს ამერიკულ რეგიონს.
- სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კომისრებმა მოუწოდეს SHEIN-ისა და Temu-ს გამოძიებას იმ პროდუქციის გაყიდვაში, რომელიც შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აშშ-ის უსაფრთხოების სტანდარტებს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLY	20.09bn	187.12	-1.92%	6.00%	0.12%
VCR	5.64bn	320.53	-2.05%	5.90%	0.12%
FXD	1.46bn	61.64	-1.86%	2.20%	0.12%
FDIS	1.44bn	83.32	-1.85%	5.90%	0.12%
XRT	0.46bn	76.32	-1.97%	4.60%	0.12%

## კომუნიკაციები

6.21 Market Cap (Trillio...  
 -0.21% Weekly Change  
 28.20 P/E  
 17.60 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● კომუნიკაციები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TMUS	213.34bn	198.72	0.07%	16.45	9.56
META	1,209.54bn	521.31	-1.27%	20.22	11.98
GOOG	2,205.99bn	165.11	-1.39%	20.38	13.39
EA	37.26bn	151.82	2.85%	16.88	13.25
DIS	174.54bn	90.38	-0.20%	17.65	11.03


- Alphabet-ის Google-მა (GOOG), Qualcomm-მა (QCOM) და Samsung-მა (005930.KS) პარტნიორობა შარშან დააანონსეს, თუმცა დეტალები ამ მომენტამდე ბუნდოვანი იყო. ბოლო ინტერვიუში, Qualcomm-ის აღმასრულებელმა დირექტორმა გაამხილა, რომ ეს სამი კომპანია ახალი შერეული რეალობის სათვალეების განვითარებაზე თანამშრომლობს, რაც მეტ სიცხადეს სძენს მათ ერთობლივ პროექტს.
- Walt Disney-მ (DIS) და სატელიტური ტელევიზიის პროვაიდერმა, DirecTV-მ ვერ შეძლეს ESPN-ის, ABC-ის და სხვა Disney-ის კუთვნილი ქსელების ახალი დისტრიბუციის ხელშეკრულების დახურვა.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLC	19.24bn	87.32	-1.39%	17.80%	0.12%
VOX	3.95bn	139.16	-1.76%	17.10%	0.12%
FCOM	1.17bn	52.66	-1.66%	17.00%	0.12%
NXTG	0.38bn	86.18	-2.53%	10.20%	0.12%
IXP	0.37bn	89.39	-2.30%	19.20%	0.12%

## ფინანსები

9.26 Market Cap (Trillio...  
2.95% Weekly Change  
14.40 P/E  
15.00 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ფინანსები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
BX	168.20bn	142.36	2.21%	23.21	18.14
MS	165.91bn	103.61	1.69%	13.41	
RY	157.26bn	120.78	4.55%	12.46	
CB	105.53bn	284.18	2.93%	11.06	
COIN	63.31bn	183.36	-13.26%	48.76	21.42


• JPMorgan Chase-ის (JPM) აქტივების მართვის განყოფილებამ პარტნიორობა დაამყარა Kyriba-სთან, რათა გააუმჯობესოს Morgan Money პლატფორმა, რომელიც \$300 მილიარდი დოლარის აქტივებს მართავს. ეს ინტეგრაცია მიზნად ისახავს ლიკვიდობის მართვის გამარტივებას, სავაჭრო და აღრიცხვითი პროცესების გაუმჯობესებას, და რეალურ დროში ფულადი ნაკადების ხილვადობის გაზრდას. Morgan Money-ისა და Kyriba-ს მომხმარებლებს ხელმისაწვდომი იქნება ეს ახალი ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების პროგნოზირების გაუმჯობესებას და საოპერაციო ეფექტურობის ზრდას.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
IXG	0.37bn	93.59	0.17%	12.70%	0.12%
VFH	9.74bn	110.85	1.51%	13.20%	0.12%
XLF	42.48bn	45.74	1.11%	13.50%	0.12%

## ინდუსტრია

5.95 Market Cap (Trillio...  
1.69% Weekly Change  
20.60 P/E  
12.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ინდუსტრია

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
--------	------------	-------	--------	-----	-----------


• Boeing-მა (BA) გააფორმა ხელშეკრულება თავის უმსხვილეს პროფკავშირთან, რომლის მიხედვითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში თანამშრომელთა ხელფასები 25%-ით გაიზრდება, ხოლო თვითმფრინავების წარმოება გაგრძელდება წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში. შეთანხმება, რომელიც მოიცავს გაუმჯობესებულ საპენსიო შეღავათებს და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯების შემცირებას, მიზნად ისახავს პროფკავშირთა გაფიცვის თავიდან აცილებას. პროფკავშირის წევრები ამ კვირაში კენჭს უყრიან შეთანხმებას, რომელიც უარყოფის შემთხვევაში გაფიცვას გამოიწვევს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLI	19.36bn	131.46	0.56%	10.70%	0.12%
VIS	5.29bn	252.79	0.69%	11.00%	0.12%
FIDU	1.21bn	70.26	0.66%	11.00%	0.12%
JETS	1.08bn	18.70	-0.78%	2.00%	0.12%
IYT	0.76bn	67.27	0.97%	2.70%	0.12%

## აციკლური საქონელი

4.42 Market Cap (Trillio...  
0.82% Weekly Change  
23.40 P/E  
16.50 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● აციკლური საქონელი

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
PG	396.41bn	171.54	1.40%	24.11	17.16
DEO	71.41bn	130.76	-3.16%	16.89	13.49
EL	35.56bn	91.66	-2.18%	24.68	13.99
ABEV	33.25bn	2.27	-5.42%	11.73	5.90
DG	26.92bn	82.97	-32.87%	15.00	12.36


• Dollar Tree-მ (DLTR) მეორე კვარტალში \$0.67 დოლარის წმინდა მოგება მიიღო ერთ აქციაზე (EPS), რაც პროგნოზებზე \$0.37 დოლარით ნაკლებია. \$7.38 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი (+0.7% წ/წ) კი კონსენსუსს \$100 მილიონით ჩამორჩება. 2024 ფინანსური წლისთვის კომპანიამ გადახედა წმინდა გაყიდვების პროგნოზს \$30.6-30.9 მილიარდ დოლარამდე და ელოდება შესწორებულ განხილვებულ EPS-ს \$5.20-5.60 დოლარის ფარგლებში. 2024 წლის მესამე კვარტლის პროგნოზი მოიცავს \$7.4-7.6 მილიარდი დოლარის წმინდა გაყიდვებს და \$1.05-1.15 დოლარის შესწორებულ EPS-ს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLP	16.34bn	82.51	0.83%	7.20%	0.12%
VDC	6.72bn	217.51	0.73%	7.10%	0.12%
FSTA	1.10bn	50.85	0.73%	7.00%	0.12%
KXI	0.87bn	65.01	0.41%	3.90%	0.12%
FXG	0.41bn	68.41	1.05%	2.00%	0.12%

## უძრავი ქონება

1.82 Market Cap (Trillio...  
0.42% Weekly Change  
47.20 P/E  
20.80 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● უძრავი ქონება

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AMT	98.13bn	224.06	-1.30%	31.68	20.88
EQIX	74.67bn	834.36	0.77%	62.42	19.95
SPG	49.99bn	167.35	0.51%	23.37	15.55
VICI	31.62bn	33.48	1.76%	11.23	14.09
AVB	29.49bn	225.73	1.80%	38.32	19.62


• Equinix-მა (EQIX) განაცხადა, რომ მან \$750 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოიზიდა ორი "მწვანე ობლიგაციის" შეთავაზებით, რათა მხარი დაუჭიროს თავის მდგრადი განვითარების მიზნებს. ამით მისი მწვანე ობლიგაციების საერთო მოცულობა დაახლოებით \$5.6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, რაც მას ამერიკული კორპორაციების ათეულში აყენებს საინვესტიციო კლასის მწვანე ობლიგაციების ბაზარზე. შეთავაზება მოიცავს 600 მილიონი ევროს ოდენობის 3.65%-იან სენიორ მწვანე ობლიგაციებს, ვადიანი 2033 წელს.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
VNQ	34.03bn	95.13	1.52%	-0.40%	0.12%
SCHH	6.84bn	22.59	1.44%	0.90%	0.12%
XLRE	6.46bn	43.55	1.30%	0.20%	0.12%
IYR	3.45bn	99.53	1.39%	0.70%	0.12%
REZ	0.65bn	87.18	1.87%	7.30%	0.12%

## ენერჯეტიკა

**3.04** Market Cap (Trillio...  
**0.98%** Weekly Change  
**15.20** P/E  
**8.40** EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● ენერჯეტიკა

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
CVX	294.00bn	147.95	0.22%	11.14	5.25
SHEL	227.58bn	71.66	-1.06%	8.70	4.27
BP	97.44bn	33.96	-0.44%	6.81	3.44
PSX	58.70bn	140.31	3.65%	10.52	7.64
HES	47.02bn	138.06	-0.09%	13.45	7.08

• ExxonMobil-ი (XOM) გეგმავს თავის პირველ ნახშირბადის შეწოვის პროექტის დაწყებას ყურის სანაპიროზე მომავალი წლისთვის, რაც დამოკიდებული იქნება მიწისქვეშა CO<sub>2</sub>-ის შენახვის ჭაბურღილების რეგულატორულ დამტკიცებაზე. პროექტი მიზნად ისახავს CF Industries-ის ამიაკის ქარხნიდან ლუიზიანას შტატის დონალდსონვილში, ყოველწლიურად ორ მილიონ ტონამდე CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვის შეწოვას მიწისქვეშა ქანებში მათი მუდმივი შენახვისთვის.


• TotalEnergies-მა (TTE) და Adani Green Energy Limited-მა (AGEL) შექმნეს 50-50 ერთობლივი საწარმო, რათა განავითარონ 1,150 მეგავატი AC სიმძლავრის მზის ენერჯის პორტფელი.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLE	38.94bn	91.28	2.04%	9.00%	0.12%
VDE	8.63bn	127.43	1.80%	9.40%	0.12%
XOP	3.41bn	139.54	0.33%	6.20%	0.12%
IXC	2.20bn	41.95	0.77%	6.30%	0.12%
IYE	1.32bn	48.04	1.61%	9.20%	0.12%

## მატერიალები

**2.63** Market Cap (Trillio...  
**1.67%** Weekly Change  
**17.30** P/E  
**9.40** EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● მატერიალები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
RIO	108.10bn	63.27	0.40%	8.68	4.47
NEM	54.20bn	53.39	2.59%	13.27	6.53
VMC	33.88bn	245.21	-3.80%	26.01	15.26
DD	33.30bn	84.25	3.88%	18.71	12.07
PPG	29.87bn	129.73	2.53%	14.08	10.95


• BHP Group-მა (BHP) ცოცხალი წინ განაცხადა, რომ სამხრეთ ავსტრალიის მთავრობამ დაიწყო ოლიმპიურ პიკზე მისი შემოთავაზებული ლითონის სახვევის და გადამამუშავებელი ქარხნის გაფართოების (SRE) შეფასება. გაფართოება განხორციელდება ორ ეტაპად და მოსალოდნელია, რომ BHP-ის სპილენძის წარმოება სამხრეთ ავსტრალიაში გაიზარდება 2024 წლის ფისკალურ პერიოდში 322,000 ტონიდან 2030-იანი წლების დასაწყისში 500,000 ტონამდე, ხოლო 2030-იანი წლების შუა პერიოდში - 650,000 ტონამდე.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
GDX	14.34bn	38.62	-2.04%	22.30%	0.12%
XLB	5.55bn	94.28	-0.43%	5.50%	0.12%
VAW	2.93bn	206.38	-0.28%	4.50%	0.12%
XME	2.10bn	59.84	-2.42%	4.60%	0.12%
SIL	1.20bn	32.73	-3.84%	23.70%	0.12%

## კომუნალურები

1.69 Market Cap (Trillio...  
 1.15% Weekly Change  
 23.20 P/E  
 13.00 EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



● S&P 500 ● კომუნალურები

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AEP	49.05bn	100.28	2.07%	15.62	10.53
PCG	38.40bn	19.70	4.79%	12.15	9.02
AWK	27.50bn	143.12	1.92%	24.89	14.91
WEC	25.76bn	93.03	0.40%	15.62	11.56
ES	21.43bn	67.53	1.12%	12.72	11.86

• Interstate Power and Light-მა, რომელიც Alliant Energy Corporation-ის (LNT) შვილობილი კომპანიაა, დააფიქსირა საჯარო შეთავაზება \$350 მილიონი დოლარის 4.950%-იანი სენიორული ობლიგაციებით, ვადიანობით 2034 წლამდე, და \$300 მილიონი დოლარის, 5.450%-იანი სენიორული ობლიგაციებით, ვადიანობით 2054 წლამდე. შემოსავლები გამოყენებული იქნება 500 მილიონი დოლარის 3.25%-იანი სენიორ ობლიგაციების დასაფარავად.

• Avangrid-მა (AGR) განაცხადა, რომ ფედერალურმა ენერგეტიკულმა რეგულირების კომისიამ დაამტკიცა Iberdrola-ს \$2.55 მილიარდი დოლარის ტენდერი.

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLU	14.73bn	76.29	-1.59%	9.20%	0.12%
PAVE	7.70bn	39.42	0.39%	12.60%	0.12%
VPU	5.73bn	165.09	-1.31%	9.90%	0.12%
IGF	3.65bn	52.33	-1.12%	5.50%	0.12%
IDU	1.23bn	97.26	-1.06%	12.00%	0.12%

# კვირის განრიგი

## ორშაბათი

September 2, 2024	Monday
10:00am - 11:00am	• Nationwide HPI (MoM) (Aug)
10:00am - 11:00am	• Nationwide HPI (YoY) (Aug)
12:00pm - 1:00pm	• HCOB Eurozone Manufacturing PMI (Aug)
12:30pm - 1:30pm	• S&P Global/CIPS UK Manufacturing PMI (Aug)

## სამშაბათი

September 3, 2024	Tuesday
3:01am - 4:01am	• BRC Retail Sales Monitor (YoY) (Aug)
5:45pm - 6:45pm	• S&P Global US Manufacturing PMI (Aug)
6:00pm - 7:00pm	• Construction Spending (MoM) (Jul)
6:00pm - 7:00pm	• ISM Manufacturing Employment (Aug)
6:00pm - 7:00pm	• ISM Manufacturing PMI (Aug)
6:00pm - 7:00pm	• ISM Manufacturing Prices (Aug)

## ოთხშაბათი

September 4, 2024	Wednesday
12:00pm - 1:00pm	• HCOB Eurozone Composite PMI (Aug)
12:00pm - 1:00pm	• HCOB Eurozone Services PMI (Aug)
12:30pm - 1:30pm	• S&P Global/CIPS UK Composite PMI (Aug)
12:30pm - 1:30pm	• S&P Global/CIPS UK Services PMI (Aug)
6:00pm - 7:00pm	• JOLTs Job Openings (Jul)

## ხუთშაბათი

September 5, 2024	Thursday
4:15pm - 5:15pm	• ADP Nonfarm Employment Change (Aug)
4:30pm - 5:30pm	• Continuing Jobless Claims
4:30pm - 5:30pm	• Initial Jobless Claims
4:30pm - 5:30pm	• Nonfarm Productivity (QoQ) (Q2)
5:45pm - 6:45pm	• S&P Global Composite PMI (Aug)
5:45pm - 6:45pm	• S&P Global Services PMI (Aug)

## პარასკევი

September 6, 2024	Friday
1:00pm - 2:00pm	• GDP (QoQ) (Q2)
1:00pm - 2:00pm	• GDP (YoY) (Q2)
4:30pm - 5:30pm	• Nonfarm Payrolls (Aug)
4:30pm - 5:30pm	• Private Nonfarm Payrolls (Aug)
4:30pm - 5:30pm	• U6 Unemployment Rate (Aug)
4:30pm - 5:30pm	• Unemployment Rate (Aug)

Ticker	Type	Time	Market Cap
KT	Earnings	not supplied	7.44bn
DOYU	Earnings	not supplied	0.61bn
SUUN	Earnings	not supplied	0.12bn
SQNS	Earnings	not supplied	0.07bn
CELU	Earnings	not supplied	0.07bn
QUBT	Earnings	not supplied	0.06bn
PPSI	Earnings	not supplied	0.05bn
BLEU	Earnings	not supplied	0.04bn

Ticker	Type	Time	Market Cap
ZS	Earnings	after hours	29.81bn
CTLT	Earnings	not supplied	10.75bn
ASND	Earnings	after hours	7.86bn
GTLB	Earnings	after hours	7.47bn
OS	Earnings	after hours	6.79bn
HQY	Earnings	after hours	6.64bn
ASAN	Earnings	after hours	3.25bn
PD	Earnings	after hours	1.89bn

Ticker	Type	Time	Market Cap
CPRT	Earnings	after hours	50.61bn
HPE	Earnings	after hours	24.82bn
DLTR	Earnings	pre market	20.51bn
DKS	Earnings	pre market	19.26bn
HRL	Earnings	pre market	17.66bn
CASY	Earnings	after hours	13.84bn
CNM	Earnings	pre market	10.22bn
DSGX	Earnings	after hours	8.67bn

Ticker	Type	Time	Market Cap
AVGO	Earnings	after hours	736.31bn
IOT	Earnings	after hours	22.72bn
GWRE	Earnings	after hours	12.17bn
DOCU	Earnings	after hours	11.80bn
TTC	Earnings	pre market	9.45bn
NIO	Earnings	pre market	7.72bn
PATH	Earnings	after hours	7.21bn
SMAR	Earnings	after hours	6.72bn

Ticker	Type	Time	Market Cap
DOOO	Earnings	pre market	5.30bn
ABM	Earnings	pre market	3.51bn
BRC	Earnings	pre market	3.47bn
GCO	Earnings	pre market	0.36bn
BIG	Earnings	pre market	0.03bn
ENLV	Earnings	not supplied	0.02bn

# სამართლებრივი შენიშვნა

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 მარჯანიშვილის ქუჩა, თბილისი 0102, საქართველო      მეილი: [MarketAnalytics@tbccapital.ge](mailto:MarketAnalytics@tbccapital.ge)  
ტელ: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733.      ვებგვერდი: <https://investing.tbccapital.ge>


# წყაროები

წყაროს დასახლება	ბმული
Bloomberg, Bloomberg Terminal	<a href="https://www.bloomberg.com/">https://www.bloomberg.com/</a>
CNBC	<a href="https://www.cnbc.com/world/?region=world">https://www.cnbc.com/world/?region=world</a>
Fidelity	<a href="https://www.fidelity.com/">https://www.fidelity.com/</a>
Financial Modelling Prep	<a href="https://site.financialmodelingprep.com/">https://site.financialmodelingprep.com/</a>
Reuters	<a href="https://www.reuters.com/">https://www.reuters.com/</a>
Seeking Alpha	<a href="https://seekingalpha.com/">https://seekingalpha.com/</a>
Zero Hedge	<a href="https://www.zerohedge.com/">https://www.zerohedge.com/</a>

Seeking Alpha  $\alpha$

**Bloomberg**

**FMP**  
Financial Modeling Prep



**S&P**  
**CAPITAL IQ**







თიბისი კაპიტალი

[www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)